s a q a r T v e l o
Coxatauris municipalitetis sakrebulo

Coxatauri wereTlis q. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #11

10 იანვარი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა ობიექტებზე შესასრულებელი სამუშაოების შესწავლისა და მოცულობის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა ობიექტებზე შესასრულებელი სამუშაოების შესწავლისა და მოცულობის დადგენის მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

– ლევან ჩხიკვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი – კომისიის თავმჯდომარე;

– ალექსანდრე წიქარიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– ტარიელ ბერაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი – კომისიის წევრი;

– ზაალ ბერძენიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– გია მინდაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– ვალერი ყაჭეიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის წევრი;

– კახი მეფარიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი – კომისიის წევრი;

– ზაზა ოსეფაიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების სპეციალისტი – კომისიის წევრი;

2. დაევალოს კომისიას შესაბამის ობიექტებზე შესასრულებელი სამუშაოების შემოწმება და მოცულობების დადგენა.

3. კომისიაში საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნას სპეციალისტები და ექსპერტები.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 2 თებერვლის N29 ბრძანება – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა ობიექტებზე, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე, შესასრულებელი სამუშაოების შესწავლისა და მოცულობის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*